მრავალკულტურული შემოქმედებითი ღონისძიებების მენეჯმენტის გამოწვევები და მათი გადაჭრის სტრატეგიები საქართველოში

სალომე ქავთარაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტზე

მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის

მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ანნა თანდილაშვილი, ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

აქვე აღვნიშნავ, რომ ნაშრომზე მუშაობის გარკვეულ ეტაპებზე გამოყენებული იყო ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები მხოლოდ ტექსტის სტილისტური და ტექნიკური დამუშავების (რედაქტირების) მიზნით, რაც გავლენას არ ახდენს კვლევის შინაარსსა და მიღებულ შედეგებზე.

სალომე ქავთარაძე

2026 წელი

აბსტრაქტი

მრავალკულტურული შემოქმედებითი ღონისძიებები თანამედროვე კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების მნიშვნელოვანი ნაწილია და ხელს უწყობს კულტურათაშორის დიალოგს, საერთაშორისო თანამშრომლობასა და სოციალური ინკლუზიის გაძლიერებას. ამგვარი ღონისძიებების ორგანიზება დაკავშირებულია კულტურათაშორის გამოწვევებთან, რომლებიც საჭიროებს ეფექტიან მენეჯერულ მიდგომებს.

წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოში მრავალკულტურული შემოქმედებითი ღონისძიებების მენეჯმენტის პროცესში არსებული გამოწვევების, მათი გადაჭრის სტრატეგიებისა და წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლა. კვლევა ეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიას. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 136 მონაწილე, ხოლო თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები ღონისძიებების ორგანიზატორებსა და მენეჯერებთან. მონაცემები დამუშავდა „IBM SPSS Statistics“ პროგრამისა და თემატური ანალიზის გამოყენებით. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ძირითად გამოწვევებს წარმოადგენს კომუნიკაციის სირთულეები, განსხვავებული სამუშაო სტილები, დროის მართვისადმი განსხვავებული დამოკიდებულება და მონაწილეთა მოლოდინების მრავალფეროვნება. ამასთან, დადგინდა, რომ მონაწილეთა კმაყოფილებაზე ყველაზე ძლიერ გავლენას ახდენს ინკლუზიური გარემო და ეფექტიანი კომუნიკაცია. თვისებრივმა კვლევამ ასევე გამოკვეთა კულტურული ინტელექტის, მრავალენოვანი კომუნიკაციისა და კულტურული ადაპტაციის მნიშვნელობა მრავალკულტურული ღონისძიებების წარმატებული მართვისთვის.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ მრავალკულტურული შემოქმედებითი ღონისძიებების წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კულტურული მრავალფეროვნების ეფექტიან მართვაზე, ინკლუზიურობასა და კულტურათაშორის კომუნიკაციაზე. წარმატებული მრავალკულტურული ღონისძიებები კი სასიკეთოდ

წაადგება საქართველოს, რომელსაც გააჩნია პოტენციალი ჩამოყალიბდეს მრავალკულტურული შემოქმედებითი ღონისძიებების რეგიონულ ჰაბად.

საძიებო სიტყვები: მრავალკულტურული შემოქმედებითი ღონისძიებები, ღონისძიებების მენეჯმენტი, კულტურათაშორისი კომუნიკაცია, კულტურული ინტელექტი, ინკლუზიურობა, საქართველო.

ABSTRACT

Challenges of Multicultural Creative Event Management and Strategies for Addressing Them in Georgia

Multicultural creative events play an important role in fostering intercultural dialogue, international cooperation, and social inclusion. However, managing such events involves intercultural challenges that require effective management approaches and adaptive strategies.

The aim of this study is to examine the challenges of multicultural creative event management in Georgia, identify strategies used to address them, and determine the factors contributing to successful event management. A mixed-methods approach was employed. The quantitative phase included a survey of 136 participants, while the qualitative phase consisted of semi-structured interviews with event organizers and managers. Quantitative data were analyzed using IBM SPSS Statistics, and qualitative data were examined through thematic analysis. The findings indicate that the main challenges include communication difficulties, differences in working styles, varying perceptions of time management, and diverse participant expectations. The results also show that participant satisfaction is strongly influenced by inclusivity and effective communication. Qualitative findings highlighted the importance of cultural intelligence, multilingual communication, and cultural adaptation in addressing intercultural challenges.

The findings of the study indicate that the success of multicultural creative events largely depends on the effective management of cultural diversity, inclusivity, and intercultural communication. Successful multicultural events can, in turn, contribute significantly to Georgia's development and international visibility, as the country possesses considerable potential to establish itself as a regional hub for multicultural creative events.

Keywords: multicultural creative events, event management, intercultural communication, cultural intelligence, inclusivity, Georgia.